სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-041188

ქ. თბილისი 22 ივლისი 2019

სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი:
   - ასისტენტის ერთ საშტატო ერთეულზე 500-საათიანი დატვირთვით;
   - ასისტენტ-პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე, თითოეული 250-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №10;
   - ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 250-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №2.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**